

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბლაუენშტაინ საქართველო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2. დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
3. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
4. სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
7. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბლაუენშტაინ საქართველოს“ (ს/ნ 237978364) და მისი შვილობილი ააიპ „ბლაუენშტაინ ედუს“ (ს/ნ 437978477), (შემდგომში ჯგუფის) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე. გონივრულ მსჯელობასა და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასსის მიხედვით.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმენას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 01 თებერვალს.

შპს ბლაუენშტაინ საქართველო

დირექტორი

თათია არაბიძე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 01
თებერვალს.

შპს ბლაუენშტაინ საქართველო

დირექტორი

თათია არაბიძე



2. დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს და მისი შვილობილი კომპანიის შპს „ბლაუნშტაინ ედუ“-ს (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, ცალკეული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,170,656 ლარს (642,023 ლარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შედეგად ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 14,260,725 ლარს (10,611,144 ლარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, რომ მიგვეღო რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების რეალურად არსებულ რაოდენობებზე და ღირებულებაზე, რაც აისახება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შესაბამისია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების

შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების

მოდულიზაცია. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი
თამაზ აბუსერიძე

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით

2021 წლის 02 მარტი

მოდულიზირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი
თამაზ აბუსერიძე

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით
2021 წლის 02 მარტი



3. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ და მისი შვილობილი კომპანია

ლარი

<i>მიმდინარე აქტივები:</i>	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული	12,366	3,814
საბანკო ანგარიში	354,877	1,439,244
მოთხოვნა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან	9,272	16,401
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	21,430	-
გადახდილი გადასახადები	385,909	633,913
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	242,626	995,484
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	428,564	451,683
სასაქონლო მარაგები	1,170,656	642,023
მთლიანი მიმდინარე აქტივები	2,625,700	4,182,562
ძირითადი საშუალებები	11,330,064	9,817,458
დაუმთავრებელი მშენებლობა	2,930,661	793,686
არამატერიალური აქტივები	629,784	669,866
ბიოლოგიური აქტივები	787,827	1,318,783
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	15,678,336	12,599,792
სულ აქტივები	18,304,036	16,782,354
<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>		
ვალდებულება საქონლის/მომსახურების მომწოდებლებთან	180,575	55,017
დარიცხული გადასახადები	-	-
დარიცხული ხელფასები	-	-
ავანსად მიღებული შემოსავლები	1,172	7,629
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	3,029	6,461
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	184,776	69,108

გრძელვადიანი ვალდებულებები:		
გრძელვადიანი სესხები	1,468,750	750,000
გადავადებული გადასახადები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	1,468,750	750,000
მთლიანი ვალდებულებები	1,653,526	819,108
კაპიტალი:		
კაპიტალი	31,871,661	27,541,861
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	(17,822,606)	(11,578,614)
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	-	-
გადაფასების რეზერვები	2,601,455	-
მთლიანი კაპიტალი	16,650,511	15,963,247
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	18,304,036	16,782,354

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ანა ცირეკიძე

01.02.2021 წ.

გრძელვადიანი ვალდებულებები:		
გრძელვადიანი სესხები	1,468,750	750,000
გადავადებული გადასახადები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	1,468,750	750,000
მთლიანი ვალდებულებები	1,653,526	819,108
კაპიტალი:		
კაპიტალი	31,871,661	27,541,861
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	(17,822,606)	(11,578,614)
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	-	-
გადაფასების რეზერვები	2,601,455	-
მთლიანი კაპიტალი	16,650,511	15,963,247
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	18,304,036	16,782,354

დირექტორი

თ. მამუკაძე

თათია არაბიძე

01.02.2021 წ.



მთავარი ბუღალტერი

ნ. ცირეკიძე

ანა ცირეკიძე

4. სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ და მისი შვილობილი კომპანია

ლარი

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავლები:		
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,181,822	1,526,631
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი		
წმინდა ამონაგები	2,181,822	1,526,631
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	1,593,718	1,339,253
საერთო მოგება	588,103	187,379
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	1,210,351	797,774
ტრანსპორტირების ხარჯები	89,522	84,031
იჯარა	149,321	37,215
რეკლამა	179,923	22,758
კომუნალური ხარჯები	142,686	76,004
კომუნიკაციის ხარჯი	5,879	8,763
დაზღვევის ხარჯი	17,997	11,932
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	272,550	151,617
საოფისე ხარჯები	20,328	45,752
საბანკო მომსახურების ხარჯები	12,546	22,968
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,023	2,074
საბიუჯეტო (საგადასახადო) ხარჯი	152,043	118,449
ცვეთა და ამორტიზაცია	524,039	391,949
რემონტი	20,720	6,022
მივლინება	22,459	-
ბიო აქტივების ხარჯი	698,916	828,989
სხვა ხარჯი	60,000	22,281
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	3,584,304	2,628,577

<i>საოპერაციო მოგება/ზარალი</i>	(2,996,201)	(2,441,199)
საპროცენტო შემოსავალი	67,003	25,331
საპროცენტო ხარჯი	151,675	13,685
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,112,215	1,160,366
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	5,275,335	656,645
წმინდა მოგება (ზარალი)	(6,243,992)	(1,925,832)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ანა ცირეკიძე

01.02.2021 წ.

საოპერაციო მოგება/ზარალი	(2,996,201)	(2,441,199)
საპროცენტო შემოსავალი	67,003	25,331
საპროცენტო ხარჯი	151,675	13,685
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,112,215	1,160,366
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	5,275,335	656,645
წმინდა მოგება (ზარალი)	(6,243,992)	(1,925,832)

დირექტორი

თ. შაყ

თათია არაბიძე



მთავარი ბუღალტერი

ა. ჭაჭავაძე

ანა ცირეკიძე

01.02.2021 წ.

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ და მისი შვილობილი კომპანია

ლარი	კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
01.01.2018 წაშთი	24,866,233	-	(9,652,782)	15,213,450
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	2,675,628	-	-	2,675,628
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(1,925,832)	(1,925,832)
31.12.2018 წაშთი	27,541,861	-	(11,578,614)	15,963,247
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	4,329,800	-	-	4,329,800
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	2,601,455	-	2,601,455
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(6,243,992)	(6,243,992)
31.12.2019 წაშთი	31,871,661	2,601,455	(17,822,606)	16,650,511

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ანა ცირეკიძე

01.02.2021 წ.

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ და მისი შვილობილი კომპანია

ლარი	კაპიტალი	მირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
01.01.2018 ნაშთი	24,866,233	-	(9,652,782)	15,213,450
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	2,675,628	-	-	2,675,628
მირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(1,925,832)	(1,925,832)
31.12.2018 ნაშთი	27,541,861	-	(11,578,614)	15,963,247
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	4,329,800	-	-	4,329,800
მირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	2,601,455	-	2,601,455
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(6,243,992)	(6,243,992)
31.12.2019 ნაშთი	31,871,661	2,601,455	(17,822,606)	16,650,511

დირექტორი



თათია არაბიძე

01.02.2021 წ.



მთავარი ბუღალტერი



ანა ცირეკიძე

6. ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ და მისი შვილობილი კომპანია

ლარი

	12/31/2019	12/31/2018
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	2,266,804	1,674,979
ავანსად მიღებული თანხები	-	-
სესხის პროცენტის მიღება	66,020	25,331
უკანდაბრუნებული საბიუჯეტო გადასახადი	182,044	706,781
სულ შემოსული თანხები	2,514,868	2,407,090
საოპერაციო ხარჯები:		
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(6,851,999)	(3,840,599)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(1,037,794)	(731,460)
სესხის პროცენტის დაფარვა	(151,675)	-
წინასწარ გადახდილი ხარჯები	-	(6,206)
გადახდილი გადასახადები	-	-
სხვა გადახდილი ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან	-	(10,000)
სულ გაცემული თანხები	(8,041,468)	(4,588,265)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	(5,526,600)	(2,181,174)
ფულადი ნაკადების მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	0	(268,596)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(576,848)	(1,176,943)
სულ ფულადი ნაკადების მოძრაობა ინვესტიციებიდან:	(576,848)	(1,445,540)
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სესხის ძირის დაფარვა	-	(12,153)
სესხი მიღება	718,750	742,701
მიღებული გრანტები და შემოწირულობა	-	2,436
კაპიტალის ცვლილება	4,329,800	2,675,628
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან:	5,048,550	3,408,612
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(1,054,897)	(218,102)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	1443058.08	1675468.43
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	191,074	160,674

სავალუტო გადაფასების ხარჯი	(211,992)	(174,982)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	367,243	1,443,058

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ანა ცირეკიძე

01.02.2021 წ.

სავალუტო გადაფასების შემოსავალი	191,074	160,674
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(211,992)	(174,982)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	367,243	1,443,058

დირექტორი



თათია არაბიძე



მთავარი ბუღალტერი



ანა ცირეკიძე

01.02.2021 წ.

7. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულად ერთეულში - ქართული ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითადი საშუალებების ნაწილში წარმოდგენილია გადაფასებული თანხით.

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. ჯგუფმა მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და შედეგად, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ახლო მომავალ პერიოდში არ არსებობს ეჭვი ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით.

კონსოლიდაციის საფუძველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი არის საწარმო, რომელიც ექვემდებარება სხვა საწარმოს კონტროლს. კონტროლი გულისხმობს მშობელი საწარმოს მიერ შვილობილის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკის მართვის უნარს მისი ოპერაციებიდან სარგებლის მიღების მიზნით.

2. ამონაგების აღიარება

ჯგუფი შემოსავლებს აღირებს დარიცხვის მეთოდით ყოველდღიურად გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

4. მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. აღნიშნული თარიღიდან მოგების გადასახადადით დაბეგვრის ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. ჯგუფიდან 2018-2019 საანგარიშო პერიოდებში დივიდენდის გაცემა არ ფიქსირდება.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>ძირითადი საშუალებების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
შენობები	40-50 წელი
მანქანა დანადგარები	15-20 წელი
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	10-15 წელი

თუ არსებობს რამე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

6. არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ჯგუფის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისგან და კომპანიის საფირმო - ბრენდის ნიშნებისგან. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>არამატერიალური აქტივების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
საფირმო - ბრენდის ნიშნები	50 წელი
კომპიუტერული პროგრამები	1-15 წელი

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომლებიც ჯგუფის მიერ გამოიყენება საქმიანობის პროცესში, საბალანსო ანგარიშებზე მათი ასახვა ხდება გამოყენების ფორმის მიხედვით (სარეალიზაციო საქონელი და საწვავ საცხები მასალები).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფის მიერ სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხდება მათი რეალიზაციის/გახარჯვისთანავე. სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

8. ბიოლოგიური აქტივები

ჯგუფის ბიოლოგიური აქტივები საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასებული აქვს გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

9. სავაჭრო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი. დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

გარკვეული პერიოდულობით გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

10. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

11. ხარჯად აღიარება

სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი კომპენსაციის ოდენობით.

12. ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

13. შემოსავლები 2019 წელი.

ლარი

2019 წელი

საოპერაციო შემოსავლები	
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	2,181,822
სულ საოპერაციო შემოსავლები	2,181,822
არასაოპერაციო შემოსავლები	
დადებითი საკურსი სხვაობა	225,369
საპროცენტო შემოსავალი	67,003
ბიოლოგიური აქტივის აფასება	356,502
ძირითადი საშუალებების ზედმეტობა	1,300,298
გრანტის სახით მიღებული შემოსავალი	33,500
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	196,545
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	2,179,218
სულ შემოსავალი	4,361,039

14. ხარჯები 2019 წელი

ლარი

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,593,718
სხვა საოპერაციო ხარჯები	3,584,304
უარყოფითი საკურსო სხვაობა	202,057
საპროცენტო ხარჯი	151,675
ძირითადი საშუალებების და ბიულოგიური აქტივების ჩამოფასება	3,031,042
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	1,888,538
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	153,699
სულ ხარჯები	10,605,032

15. მოგება/ზარალი 2019 წელი

ლარი

სულ შემოსავალი	4,361,039
სულ ხარჯი	10,605,032
ზარალი	-6,243,992

16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შემდეგია:

ლარი

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები საღაროში	12,366	3,814
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
თიბისი ბანკი GEL	62,664	40,650
ლიბერთი ბანკი GEL	39	39
საქართველოს ბანკი GEL	134,581	89,105

სულ მიმდინარე ანგარიშებზე	197,284	129,794
სადეპოზიტო ანგარიშები		
საქართველოს ბანკი GEL	9,500	280,500
ლიბერთი ბანკი GEL		325,000
სულ სადეპოზიტო ანგარიშზე	9,500	605,500
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
საქართველოს ბანკი	4,522	95
თიბისი ბანკი	143,571	703,855
სულ უცხოურ ვალუტაში რეზიდენტ ბანკებში	148,093	703,950
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	354,877	1,439,244
სულ ფულადი სახსრები	367,243	1,443,058

შენიშვნა: საქართველოს ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულ თანხა 9,500 ლარი შეზღუდულია აქვს ჯგუფს, რადგან აღნიშნული თანხა განთავსებულია კონტრაქტორის სასარგებლოდ გარანტიის უზრუნველსაყოფად.

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
მოთხოვნა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან		
შპს დერი სტანდარტი		8,024
შპს გუდაური ლოჯი	557	
შპს ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯია	928	
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	7,788	8,376
სულ მოთხოვნა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან	9,272	16,401

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

შპს ქუდოს ჯორჯია	11,248
AGRATECH LLC	114,074
შპს ჰოლი მოტორს	25,075

შპს ლაივი	12,726	
შპს ორბი საქართველო	1,309	
სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი	6,196	
შპს სტარ კონსალტინგი	4,620	
შპს "ეკო სმაილი"		1,609
შპს "ბომა სტუდიო"		13,825
GUO BCC		90,261
SCHAUER AGROTRONIC CmbH		459,794
SWISSDESIGN LADENBAU		397,659
სხვა წინასწარ გადახდილი ავანსები	65,770	32,336
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	242,626	995,484
სხვა მიმდინარე მთხოვნები		-
შპს დოლამისი	86,007	
შპს დათო	92,723	
შპს ლოდინარო	86,100	
შპს გლოლა	77,378	77,378
შპს ხეორი	23,332	53,887
შპს ჭეშორა	0	103,367
შპს საკიშორე	0	78,674
სხვა მთხოვნები	63,024	138,377
სულ სხვა მიმდინარე მთხოვნები	428,564	451,683
სულ მოთხოვნები	680,462	1,463,568

18. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ლარი

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
სასაქონლო მარაგები	529,624	147,773
ნედლეული	618,217	441,474
ხაზვეარფაბრიკატი	4,579	-
მზა პროდუქცია	18,235	52,776
სულ საქონელი	1,170,656	642,023

19. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31

დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარი

	შენიშვნები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	მიწა	სულ
2018 წლის 01 იანვარი	7,739,427	1,218	2,568,572	398,589	454,493	386,730	11,549,028
შემოსავალი	30,525	792,468	130,396	44,486	117,148	-	1,115,023
გასავალი	-	-	14,500	295	25,700	-	40,495
ძირითადი საშუალებების ჩამოფასება	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	7,769,952	793,686	2,684,468	442,780	545,941	386,730	12,623,556
შემოსავალი	1,467,156	3,182,620	797,409	594,374	558,678	-	6,600,237
გასავალი	605,322	1,046,661	65,209	1,133,219	103,820	-	2,954,232
კატეგორიის ცვლილება შემოსვლა	10,168	1,017	-	1,656,255	599,059	-	2,266,500
კატეგორიის ცვლილება გასვლა	12,409	-	1,920,250	333,841	-	-	2,266,500
ძირითადი საშუალებების ჩამოფასება	2,262,361	-	39,685	250,121	66,352	6,470	2,624,989
გადაფასების რეზერვი	830,507	-	121,117	298,091	298,576	1,053,164	2,601,455
2019 წლის 31 დეკემბერი	7,197,692	2,930,661	1,577,850	1,274,319	1,832,082	1,433,423	16,246,028
დაგროვილი ცვეთა							
2018 წლის 01 იანვარი	803,195	-	580,051	115,782	151,804	-	1,650,832
წლის ცვეთა	164,021	-	145,561	31,069	39,087	-	379,739
გასული აქტივის ცვეთა	-	-	5,589	179	12,390	-	18,158
2018 წლის 31 დეკემბერი	967,216	-	720,023	146,672	178,501	-	2,012,412
წლის ცვეთა	195,378	-	85,416	118,217	79,056	-	478,067
კატეგორიის ცვლილება შემოსვლა	8,961	-	-	320,934	322,421	-	652,316
კატეგორიის ცვლილება გასვლა	7,636	-	543,817	100,863	-	-	652,316
გასული აქტივის ცვეთა	162,788	-	9,271	262,092	71,025	-	505,176
2019 წლის 31 დეკემბერი	1,001,131	-	252,351	222,868	508,953	-	1,985,303
საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბერი	6,802,736	793,686	1,964,445	296,108	367,440	386,730	10,611,144
2019 წლის 31 დეკემბერი	6,196,561	2,930,661	1,325,499	1,051,451	1,323,129	1,433,423	14,260,725

20. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
არამატერიალური აქტივები		
ლარი		
ბუღალტრული პროგრამა Balance Enterprise	5,627	
საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	797	997
პროგრამა ERP STANDARD	5,653	7,066
საფირმო ბრენდის - ხარისხის ნიშანი	617,707	661,803
სულ არამატერიალური აქტივები	629,784	669,866

არამატერიალური აქტივების მოძრაობა:

საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვარი	677,715
გასული არამატერიალური აქტივები	-
შემოსული არამატერიალური აქტივები	7,438
მიმდინარე ცვეთა	15,287
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	669,866
გასული არამატერიალური აქტივები	-
არამატერიალური აქტივების ჩამოფასება	580.9
შემოსული არამატერიალური აქტივები	6,361
მიმდინარე ცვეთა	45,862
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი	629,784

21. ბიოლოგიური აქტივები

ლარი	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
დეკეული	130,323	71,635
სანაშენე ძროხა	376,990	727,530
სასუქი მამრი	193,860	470,707

ხბო	86,654	48,912
სულ ბიოლოგიური აქტივები	787,827	1,318,784

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	180,575	55,018
ნუგზარ ლაბაძე		1,724
შპს ეი-თიმი		1,132
შპს "ეფ ბი დი		1,132
SWISSGENETICS	22,787	22,094
შპს სანო-ცხოველთა თანამედროვე კვება	54,750	
GENINTSA	24,900	
შპს აი ნოუ	3,384	
სხვა ვალდებულებები	74,753	28,936
მიღებული ავასები	1,172	7,629
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	3,029	6,461
სულ მიმდინარე ვალდებულებები	184,776	69,108

23. გრძელვადიანი ვალდებულებები.

ლარი	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხი (საქართველოს ბანკი)	1,468,750	750,000
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	1,468,750	750,000

24. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებული მხარეები არიან: LTD INTERNATIONAL ETHIC FARM CONCEPT I-50 % წილის მფლობელი; ირაკლი კერვალიშვილი

01008002113 35% წილის მფლობელი; ნორბერტ მაქს ბლაუნშტაინი პ.ნ. 0180113294115 15 % იანი წილის მფლობელი; თათია არაბიძე - დირექტორი, შპს ცოტნე-საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები; " შპს ცოტნე XXI-საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები; შპს მოდგინარი-საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები;

საანგარიშგებო წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები:

ტრანზაქციის დასახელება	ურთიერთობა	2019	2018
		ტრანზაქციის თანხა დღგ-ის გარეშე	ტრანზაქციის თანხა დღგ-ის გარეშე
საქონლის მიწოდება	ირაკლი კერვალიშვილი	14,299	7,336
საიჯარო მომსახურების მიღება	ნორბერტ მაქს ბლაუნშტაინი - დამფუძნებელი	98,323	
საქონლის მიწოდება	თათია არაბიძე - დირექტორი	8,248	
მომსახურების მიწოდება	თათია არაბიძე - დირექტორი	983	
საქონლის/მომსახურების მიწოდება	შპს ცოტნე - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	2,059	20,440
სამშენებლო / სამონტაჟო მომსახურების შესყიდვა	შპს ცოტნე - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	1,377,520	810,555
სამშენებლო / სამონტაჟო მომსახურების შესყიდვა	შპს ცოტნე - XXI-საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები;	403	847
საიჯარო მომსახურების მიღება	შპს მოდგინარი-საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	20,771	16,092

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან/შესყიდვიდან პერიოდის ბოლოს შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ურთიერთობა	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი მოთხოვნა (+) ვალდებულება (-)	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი მოთხოვნა (+) ვალდებულება (-)
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	(23,728)	(6,579)
ირაკლი კერვალიშვილი	204	-
ნორბერტ მაქს ბლაუნშტაინი - დამუშნებელი	(13,731)	-
თათია არაბიძე - დირექტორი	2,181	-
შპს ცოტნე - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	(4,496)	(6,579)
შპს მოდგინარი-საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	(7,887)	-

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

მიმდინარე წლის დასაწყისიდან გავარცელებული ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გარკვეული ვადით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ჯგუფის ხელმძღვანელების განმარტებით, პანდემიას მნიშვნელოვანი ზიანი არ მიუყენებია ჯგუფისთვის და ე.წ. ლოქდაუნის პერიოდში ჯგუფის გაყიდვები გაიზარდა კიდევ გარკვეული ოდენობით. ამასთან ერთად, კრიზისის გარკვეულმა უარყოფითმა გავლენებმა, ჯგუფი შედარებით ეკონომიურ დღის წესრიგზე გადაიყვანა. მოხდა თანამშრომლების რაოდენობის მცირედით გადახალისება. რაც შეეხება „ბლაუნშტაინ ედუს“ საქმიანობას, ვინაიდან მის ძირითად საქმიანობას ტრენინგების ჩატერება წარმოადგენს, პანდემიის პერიოდში პასიურ მდგომარეობაშია გადასული მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე. ამრიგად ჯგუფი მზად არის განაგრძოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წლის პერიოდში იმპორტირებული იყო საზღვარგარეთიდან საქონლის ახალი ჯიში შაროლე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 01 თებერვალს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ანა ცირეკიძე

01.02.2021 წ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
დირექტორმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 01 თებერვალს.

დირექტორი



თათია არაბიძე

01.02.2021 წ.



მთავარი ბუღალტერი



ანა ცირეკიძე

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

(კონსოლიდირებული)

საქართველო, ქ. თბილისი
2021 წელი

შ ი ა ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. ჯგუფის საქმიანობის ანგარიში
3. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.
4. ჯგუფის განვითარების პერსპექტივები

1. დირექტორის მიმართვა.



შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“

ონის რაიონი, სოფელი სორი

tel.: 599-47-57-

00

შპს „DLT-A აუდიტი“-ის დირექტორს

ბატონ თამაზ აბუსერიძეს

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს ს/კ 237978364

დირექტორის მიმართვა

ქართულ-შვეიცარიული კომპანია შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“ 2008 წელს რაჭის რეგიონში შეიქმნა.

პროექტს 2 მთავარი მიზანი ჰქონდა:

1. შვეიცარიული მთის ჯიშების - შვიცისა და სიმენტალის რაჭის პირობებისათვის მორგება;

2. ნატურალური, ჯანსაღი ხორცისა და ხორცპროდუქტების შექმნა.

ამჟამად კომპანიის ჯაჭვი 4 რგოლისგან შედგება: სათავო ფერმები; ხორცის პირველადი დამუშავების საწარმო (სასაკლაო) რაჭაში; საფირმო მაღაზიები თბილისში-წერეთლის 67-სა და ფალიაშვილის 67 ში.

სათავო ფერმა ერთგვარი სასწავლო ცენტრია, სადაც შვეიცარიელი ინსტრუქტორები რეგულარულად ატარებენ სწავლებებს ვეტერინარიის, ხელოვნური განაყოფიერების, აგრონომიის, პირუტყვის კვების, თივის წარმოებისა თუ საწარმოო ჰიგიენის თემებზე.

შვეიცარიელი პროფესიონალების მიერ გადამზადებული ქართველი ინსტრუქტორები, თავის მხრივ, ცოდნასა და გამოცდილებას რეგიონში არსებულ პარტნიორ ფერმერებს გადასცემენ.

ფერმაში ხელოვნური განაყოფიერების გზით ხდება შვიცისა და სიმენტალის ჯიშების მიღება. გაყინული მასალა შვეიცარიიდან შემოდის და ადგილობრივ საქონელზე ხდება შეჯვარება.

ეტაპობრივად მისვლა სუფთა ჯიშამდე უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ სიმენტალი და შვიცი კარგად მოერგოს ადგილობრივ პირობებს და წლების მანძილზე ჩამოუყალიბდეს იმ დაავადებების მიმართ მდგრადობა, რაც კავკასიის რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. სუფთა ჯიშის პირდაპირ შემოყვანით, ეს რისკები ძალიან მაღალია.

ხორცის პირველადი საწარმო 2015 წლიდან მუშაობს. შენობა შვეიცარიული სტანდარტით, მანქანა-დანადგარებითა და ქართული კანონმდებლობის შესაბამისი აღჭურვილობითაა უზრუნველყოფილი.

შვეიცარიელი პროფესიონალი ვეტერინარის, ჰიგიენის სპეციალისტისა და ყასბების მეთვალყურობითა და სეს-თან მჭიდრო თანამშრომლობით, საწარმოში ხდება პირუტყვის დამზოგველი მეთოდებით დაკვლა და შემდგომი დამუშავება. მაღალი სტანდარტების მაცივრებში დაყოვნება და მაცივარი მანქანით თბილისის მაღაზიისთვის მიწოდება.

„ბლაუნშტაინ საქართველოს“ ხორცის პირველადი დამუშავების საწარმო არის პირველი ობიექტი საქართველოში, რომელმაც ე.წ. „დავარგებული ხორცის“ წარმოება დაიწყო.

ეს არის უსტრესო გარემოში დაკლული პირუტყვის ხორცი, რომელიც, 21 დღის მანძილზე ყოვნდება შესაბამის მაცივარში. მაცივრის ტენიანობა, ტემპერატურა და ქარის დაბერვის სიჩქარე მკაცრად კონტროლდება. 21 დღიანი დაყოვნების შემდეგ ხორცი ხდება უფრო რბილი, საგემოვნო თვისებები მკვეთრად უმჯობესდება, ხოლო ზედმეტი წყალი და მინარევები ხორციდან გამოდის.

იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი პროდუქტი ქართულ რეალობაში არ არსებობდა, ჩვენ შევიმუშავეთ ტექნოლოგიის შიდა სტანდარტი, რომელსაც თან დავურთეთ დამწიფებული ხორცის ანალიზები (9 კვირამდე) და ფაქტობრივად, ახალი პროდუქტი შევქმენით.

შიდა სტანდარტის შექმნისას ვითანამშრომლეთ როგორც სეს-თან, ასევე, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიასთან.

„ბლაუნშტაინ საქართველოს“ მაღაზიაში შვეიცარიული რეცეპტებით დამზადებულ პროდუქტებს შეხვდებით. ჩვენ არ ვიყენებთ კონსერვანტებსა და ქიმიურ დანამატებს. პროდუქციის შენახვის ვადა შეზღუდულია. სწორედ ამიტომ, ყოველკვირეულად ხდება წარმოება და მომხმარებელამდე ყოველთვის ახალი და ძალიან მაღალი ხარისხის პროდუქცია მიდის.

კომპანიამ ფერმიდან მომხმარებლის კალათამდე ჯაჭვის შესაქმნელად 36 000 000 ლარის ინვესტიცია უკვე განახორციელა.

ამჟამად კომპანიას 400-მდე სული პირუტყვი ჰყავს. აქვს 2 საფირმო მაღაზია.

მიმდინარეობს მეღორეობის ფერმის მშენებლობა, რომელიც დასრულების ეტაპზეა, 2021 წლის პირველი ნახევრიდან იგეგმება მეღორეობის ფერმის ამოქმედება.

2020 წელს საქართველოში შემოვიყვანეთ შაროლეს ჯიშის პირუტყვი, რომელიც საუკეთესო მეხორცულ ჯიშად ითვლება, რათა მომხმარებლისთვის შეგვეთავაზებინა დავარგებული ხორცის მეტი მრავალფეროვნება.

2021 წლისათვის კომპანია „ბლაუნშტაინ საქართველოს“ სუფთა ჯიშის შვიცისა და სიმენტალის პირუტყვი ეყოლება.

„ბლაუნშტაინ საქართველოს“ შვილობილი ააიპ „ბლაუნშტაინ ედუ“ 2018 წელს დაფუძნდა.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა-მოკლე და გრძელვადიანი ტრენინგ პროგრამები.

ორგანიზაციის მიზანია :

- სოფლის მეურნეობის დარგში კვალიფიციური კადრების მომზადება. სფეროში ჩართული ადამიანების ცოდნის გაღმავება და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა,რათა ამ სფეროში ჩართული სუბიექტებისათვის უფრო ეფექტური გახდეს თავიანთი ეკონომიკური საქმიანობა და ფეხი აუწყონ მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს.

- ჩამოყალიბდეს პროფესიულ კოლეჯად, რომელიც იქნება დაფუძნებული „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების“ მეთოდზე.

- ევროპული პროფესიული კოლეჯების სტანდარტების შესაბამისი სასწავლო დაწესებულების არსებობა მოსახლეობისათვის გახდება შანსი, შეიძინონ მაღალი ხარისხის ცოდნა და გამოცდილება.

- კურსდამთავრებულებს მიეცეთ ღირსეულად დასაქმების საშუალება კერძო თუ საჯარო სექტორში.

რაც შეეხება 2020 წლის კორონა პანდემიის შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს ჯგუფზე:

ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია, რაც გულისხმობს დოლარის კურსის ცვლილების გამო ფასების ცვლილებას, კომპანიას შეეხო შესყიდული ნედლეულის ჭრილში ფასების მატებით. თუმცა, რადგან კომპანია სურსათის პროდუქტების მიმწოდებელია, პანდემიას მნიშვნელოვანია უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ხორცპროდუქტების რეალიზაციის მაჩვენებლებზე. დროებითი ლოქდაუნების რაღაც ეტაპზე პირიქით, გაყიდვების მაჩვენებლის ზრდაც კი გამოიწვია.

ამასთან ერთად, კრიზისის გარკვეულმა უარყოფითმა გავლენებმა, ჯგუფი შედარებით ეკონომიურ დღის წესრიგზე გადაიყვანა. მოხდა თანამშრომლების რაოდენობის მცირედით გადახალისება. რაც შეეხება „ბლაუენშტაინ ედუს“ საქმიანობას, ვინაიდან მის ძირითად საქმიანობას ტრენინგების ჩატერება წარმოადგენს, პანდემიის პერიოდში პასიურ მდგომარეობაშია გადასული მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე. მიუხედავად ყველაფრისა, განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, ჯგუფს კონკრეტული გეგმები აქვს დასახული. მათ შორის, დაგეგმილია გავაქტიურდეთ მარკეტინგის, ასევე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებებით. ტრადიციულად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოზა შრომის სტანდარტების დაცვას, რაც ჯგუფისთვის ყოველთვის იყო ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. მომხმარებელთან ვგეგმავთ კიდევ უფრო პასუხისმგებლიან და დაახლოებულ ურთიერთობას და ასე შემდეგ. ჯგუფი საქმიანობას ვაგრძელებთ, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

ურთიერთობას და ასე შემდეგ. ჯგუფი საქმიანობას ვაგრძელებთ, როგორც
ფუნქციონირებადი საწარმო.



თ. მძე

2. ჯგუფის საქმიანობის ანგარიში

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ (მშობელი საწარმო) დაფუძნებულია 2007 წლის 17 აპრილს. იურიდიული მისამართია ონის რაიონი სოფ. შარდომეთი. კომპანიის ფაქტიური მისამართებია: ონის რაიონი სოფ. შარდომეთი; ონის რაიონი სოფ. სორი, თბილისი, წერეთლის გამზირი #67, ფალიაშვილის ქუჩა #67. კომპანიის დირექტორად არჩეულია თათია არაბიძე (18001013008).


მშობელი საწარმოს დამფუძნებლები არიან: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ინთერნეშენალ ეთიკ ფარმ ქონსეფტ ინკ.", პანამა, (ს.კ.1714730) 50 % წილი; ნორბერტ მაქს ბლაუენშტაინი (საქართველო, შვეიცარია პ.ნ. 01801132941) 15% წილი და ირაკლი კერვალიშვილი (პ.ნ. 01008002113) 35 % წილი.

ააიპ „ბლაუენშტაინ ედუ“ შპს წარმოადგენს შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს მიერ 2018 წელს დაფუძნებულ ორგანიზაციას, რომლის დირექტორად არჩეულია თათია არაბიძე (18001013008). ძირითად საქმიანობას წარმოადგენს

ჯგუფის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.


ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობობა (მეცხოველეობა): სოფლის მურნეობიდან მიღებული პროდუქტების გადამუშავება/წარმოება და რეალიზაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა-მოკლე და გრძელვადიანი ტრენინგ პროგრამები.

1. ჯგუფის საოპერაციო შემოსავლები 2018-2019 წლებში:





2. ჯგუფში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2018-2019 წლებში

დასაქმებულთა რაოდენობა



3. მენეჯმენტის ხელფასის წილი ჯამურ სახელფასო განაცემში 2018-2019 წწ.





3. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

2019 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

- $$\text{მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} =$$

$$= \frac{2,625,700}{184,776} = 14,21$$

- $$\text{აქტივების ბრუნვა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{2,181,822}{18,304,036} =$$

$$= 0,12$$

$$\bullet \text{ დ. ს. გამოყენების ინტესივობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მ.საშუალების ღირებულება}} = \frac{2,181,822}{14,260,725} = 0,15$$

4. ჯგუფის განვითარების პერსპექტივები

ჯგუფის უახლოესი პერსპექტივაა მეღორეობის ფერმის ამოქმედება 2021 წლის პირველი ნახევრიდან. ასევე გრძელდება მესაქონლეობის განვითარება და 2021 წლიდან კომპანიას სუფთა ჯიშის შვიცისა და სიმენტალის (შვეიცარიული ჯიშები) პირუტყვი ეყოლება. ჩამოაყალიბოს პროფესიული კოლეჯი სოფლის მეურნეობის დარგში, რომელიც იქნება დაფუძნებული „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების“ მეთოდზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2020 წლის 01 თებერვალს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ანი ცირეკიძე

02.03.2021 წ.

=0,12

	შემოსავალი რეალიზაციიდან	2,181,822
• დ. ს. გამოყენების ინტესივობა=	-----	=
	ძ.საშუალების ღირებულება	14,260,725

=0,15

4. ჯგუფის განვითარების პერსპექტივები

ჯგუფის უახლოესი პერსპექტივაა მეღორეობის ფერმის ამოქმედება 2021 წლის პირველი ნახევრიდან. ასევე გრძელდება მესაქონლეობის განვითარება და 2021 წლიდან კომპანიას სუფთა ჯიშის შვიცისა და სიმენტალის (შვეიცარიული ჯიშები) პირუტყვი ეყობება. ჩამოაყალიბოს პროფესიული კოლეჯი სოფლის მეურნეობის დარგში, რომელიც იქნება დაფუძნებული „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების“ მეთოდზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2020 წლის 01 თებერვალს.


დირექტორი



თათია არაბიძე

02.03.2021 წ.

მთავარი ბუღალტერი



ანა ცირეკიძე

